შპს მედგრუპ ჯორჯია MG LTD MEDGROUP GEORGIA

მისამართი: ოდიშელიძის ქ. 18, თბილისი, 0160 საქართველო
ADDRESS: ODISHELIDZE STR. 0160 TBILISI, GEORGIA

ტელ/TEL: (032) 2 94 00 44; (032) 294 00 88
e-mail: info@mg.ge

№ 01/77

თარიღი/date: 28.06.19

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს ,,მედგრუპ ჯორჯია" 2011 წლიდან ახორციელებს სამედიცინო ველნეს კურორტ ,,ბიოლი"-ს მშენებლობას და ოპერირებას. კურორტი მდებარეობს ქ. თბილისთან ახლოს, კოჯორში (ბიოლის ქ.#1).

კომპანიის საკუთრებაში არის სულ 28 მიწის ნაკვეთი, აქედან 21 არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე, ხოლო, დანარჩენი 7 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი შეადგენს 314 137 კვ.მ-ს.

ამ ეტაპზე, კომპანია გეგმავს ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობას, კერძოდ კი გათვალისწინებულია შემდეგი ობიექტების მოწყობა: სასტუმრო დახლოებით 116 ნომრით; 80 ნომრიანი სასტუმრო; 30 ნომრიანი სასტუმრო; თერმული აბანო; ფერმა-სათბური; ღია საცურაო აუზი; ღია კინოთეატრი; ჩოგბურთის კორტები.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორია, არსებული განაშენიანების ფართობის ჩათვლით აღემატება 10 ჰექტარს, რაც საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-9 ნაწილის 9.2 ქვეპუნქტის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი).

აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გზშ ანგარიშის საჭიროების დადგენის მიზნით წარმოვიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი - სკრინინგის ანგარიში

სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია და shape ფაილები - CD დისკზე

პატივისცემით

შპს „მედგრუპ ჯორჯია"-ს დირექტორი

თეა გადრანი

"Medgroup Georgia" LLC * 205206873 * Medgroup Georgia LLC

№ 9396
"28" 06 2019
1/22 ფ.

BIOLI
MEDICAL WELLNESS RESORT

შპს „მედგრუპ ჯორჯია“

(ბიოლი)

სკრინინგის ანგარიში

ქ.თბილისი, 2019 წელი

შინაარსი

1. შესავალი 3
2. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა 6
3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ 6
3.1 პროექტით დაგეგმილი საქმიანობა 6
3.2 განსახორციელებელი სასტუმროების სპეციფიკაციები 7
3.3 განსახორციელებელი ტბების სპეციფიკაციები 7
4. პროექტის განთავსების ადგილმდებარეობა 10
5. წყალმომარაგება 14
6. ჩამდინარე წყლების ჩაშვება 14
7. მისასვლელი გზები 14
8. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე 14
9. ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა 15
10. ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე 15
11. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე 17
12. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 20
13. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება 20
14. სამშენებლო სამუშაოების დაწყება და დასრულება 20
15. დანართი 1 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან 21

1. შესავალი

შპს ,,მედგრუპ ჯორჯია" 2011 წლიდან ახორციელებს სამედიცინო ველნეს კურორტ ,,ბიოლი"-ს მშენებლობას და ოპერირებას. კურორტი მდებარეობს ქ. თბილისთან ახლოს, კოჯორში (ბიოლის ქ.#1).

ამ წლების განმავლობაში კომპანიის პოლიტიკა სრულ თანხვედრაშია ეკოპოლიტიკის კლასიკურ განმარტებასთან. თავად ველნეს კურორტის შექმნის იდეა და ფილოსოფია მიმართულია ადამინის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის, დაავადებების პრევენციისა და ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმისკენ.

ქ. თბილისის მერიასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ჯერ კიდევ პროექტის დაწყებამდე განხორციელდა არა შპს „მედგრუპ ჯორჯიას" საკუთრებაში არსებული, არამედ, მიმდებარედ არსებული მუნიციპალური 60 ჰექტრამდე ტყის მოვლა-პატრონობა, გატანილ იქნა 25 სატვირთო მანქანა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, მოეწყო საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკები, მოსასვენებელი ფანჩატურები, ხიდები. კომპანიის მიერ, წლების განმავლობაში მიმდინარეობს 30 ჰექტრამდე ფოთლოვანი ტყის გასუფთავება მავნებლებისგან. კომპანიის მიერ გამოყოფილია სპეციალური, პროფესიონალებისგან შემდგარი 25 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მუდმივად ზრუნავს კურორტისა და მიმდებარე ტერიტორიების (მათ შორის 7 ხევის) დასუფთავებაზე.

პროექტის დაწყებიდან დღემდე, კომპანიას საკუთარი ხარჯებით ,,ბიოლი"-ს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგული გვაქვს 110 000 ერთეული ნარგავი.

კურორტზე არსებული ყველა ძირითად შენობას აქვს მწვანე გადახურვა. თითოეული შენობის მასალები შერჩეულია ენერგოეფექტურობის ნიშნით. მკვეთრად გამორჩეული და განსაკუთრებულია ინტერიერის დიზაინი, რომლის განუყოფელი ნაწილია შიდა გამწვანება. ყველა შენობა ფაქტიურად გახსნილია და ინტეგრირებულია ბუნებასთან. უზარმაზარი ვიტრაჟების შემინვისას გამოყენებულია დაბალრემისიული და ენერგოეფექტური სამკამერიანი შუშის პაკეტები. შენობების გათბობის სისტემის 80% ელექტროენეგიაზეა, ხოლო ძირითადი საქვაბე განთავსებულია ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, საიდანაც ასევე ენერგოეფექტური სპეციალური თბოტრასით მიეწოდება ბიოლი ჰოლს გათბობა.

კურორტის ტერიტორიაზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრომობილებით, სტუმრების შიდა გადაადგილებისთვის გამოიყენება ელექტროავტობუსები და ასევე სმარტები. გარდა ამისა,

კომპანიამ, კურორტის ობიექტებზე წარმოქმნილი ნარჩენების, საკვების და ასევე სარეცხის გადასაზიდად შეიძინა სპეციალური ელექტრომანქანები.

ამ ეტაპზე კომპანიის საკუთრებაში არის სულ 28 მიწის ნაკვეთი, აქედან 21 არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე, ხოლო, დანარჩენი 7 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი შეადგენს 314 137 კვ.მ-ს.

ამ ეტაპზე განაშენიანებული ფართობი მოიცავს შემდეგ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს:

1. #1 სამედიცინო კომპლექსი, რომელიც ფუნქციურად წარმოადგენს სასტუმროს და სპა კომპლექსს. კომპლექსი ასევე მოიცავს საქვაბე და სასაწყობე მეურნეობებს;
2. ღია კაფე, ფანჩატური პანორამული ხედით;
3. სავარჯიშო ფანჩატურები;
4. ორი სხვადასხვა დაცვის პოსტი (უსაფრთხოების სისტემის ობიექტები);
5. სათამაშო ზონა, რომელიც განკუთვნილია დასვენებისა და გართობისთვის;
6. ბიოლი ჰოლი (ივენთჰოლი და რესტორანი);
7. ველნესს კოტეჯი, გრანდ კოტეჯი და კემპინგი, რომლებიც წარმოადგენენ სასტუმრო კოტეჯებს;
8. ოთხი სხვადასხვა ორანჟერია, რომელიც ასევე წარმოადგენს დასასვენებელ და შეხვედრების სივრცეს;
9. ორი ადმინისტრაციული ზონა, კოტეჯი #1 და კოტეჯი #2;
10. სასტუმრო პავილიონი, სადაც განთავსებულია საკონფერენციო დარბაზი, კაფე და სავარჯიშო დარბაზი.

ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია სატრანსფორმატორო ოთახები, მცირე სასაწყობო ოთახები, ობიექტის წყალმომარაგებისთვის განკუთვნილი ჭაბურღილები და შესაბამისი რეზერვუარები.

გარდა ამისა, კომპანია ცდილობს სტუმრები უზრუნველყოს ადგლობრივი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით. ამისათვის გააჩნია მცირე ფერმერული მეურნეობა. ფერმერული მეურნეობისთვის განკუთვნილ ფართობზე განთავსებულია საკურდღლე, ბოსელი, სათივე, ვოლიერი და ვაგონი. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სასაწყობო ფართისა და სათბურის მოწყობა.

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის საჭიროა წინასაპროექტო კვლევის ჩატარება, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად და ასევე „ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების (შემდგომში განაშენიანების რეგულირების წესები) შესაბამისად.
გარდა ამისა, საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 ნაწილის 9.2 ქვეპუნქტის შესაბამისად სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი.
იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორია, არსებული განაშენიანების ფართობის ჩათვლით აღემატება 10 ჰექტარს, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

ცნობები საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი #1

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს ,,მედგრუპ ჯორჯია“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ილია ოდიშელიძის ქ. N1ბ, ქ. თბილისი, საქართველო
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	205206873
კომპანიის ხელმძღვანელი	თეა გადრანი
დაგეგმილი საქმიანობის დასახელება	ურბანული განვითარების პროექტი, საკურორტო ზონის განაშენიანება
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	დაბა კოჯორი, ბიოლის ქ. #1

2. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

კოჯორი მდებარეობს თბილისი-მანგლისის საავტომობილო გზაზე. ზღვის დონიდან 1350მ-ის სიმაღლეზე. ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. ზაფხული ხანგრძლივია და გრილი (ივლისის საშ. ტემპერატურა 18°C), ზამთარი - ცივი (იანვრის საშუალო ტემპერატურა: -2,6°C), კოჯრის პლატოდან ჩანს ლისისა და კუს ტბები, ბეთანია და წყნეთი, საგურამოს ქედი, კავკასიონი.

კოჯორი ადგილობრივი მნიშვნელობის საშუალომთიანი კლიმატური კურორტია. სამედიცინო ჩვნება: სუნთქვის ორგანოთა არასპეციფიური დაავადებები, ძვალ-სახსართა და ლიმფური კვანძების ტუბერკულოზი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი. 2012 წლის აღწერის მონაცემებით კოჯორში ცხოვრობს 1232 ადამიანი.

3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

3.1 პროექტით დაგეგმილი საქმიანობა

კურორტის არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების გარდა შპს ,,მედგრუპ ჯოჯია" გეგმავს ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობას, კერძოდ კი გათვალისწინებულია შემდეგი ობიექტების მოწყობა:

1. სასტუმრო დახლოებით 116 ნომრით;
2. 80 ნომრიანი სასტუმრო;
3. 30 ნომრიანი სასტუმრო;
4. თერმული აბანო;
5. ფერმა-სათბური;
6. ღია საცურაო აუზი;
7. ღია კინოთეატრი;
8. ჩოგბურთის კორტები;

3.2 განსახორციელებელი სასტუმროების სპეციფიკაციები

116 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი განთავსდება სამედიცინო კომპლექსის მიმდებარედ დაახლოებით 5 197 მ² ფართობზე. სასტუმროს საერთო ფართი იქნება 25 622 მ². სასტუმროს სართულების რაოდენობა ინება - 5 სართული. შენობა მოეწყობა რკინა-ბეტონის კარკასით, რომელსაც ექნება ბრტყელი გადახურვა.

80 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი მოეწყობა 3 693 მ² ფართობზე და მისი საერთო ფართი შეადგენს 24 540 მ²-ს. სართულების რაოდენობა იქნება - 4 და მსგავსად 116 ნომრიანი სასტუმროსი მოეწყობა რკინა-ბეტონის კარკასით და ბრტყელი გადახურვით.

30 ნომრიანი სასტუმრო მოეწყობა ტბის მიმდებარედ, 3 935 მ² ფართობზე. სართულების რაოდენობა იქნება - 4 და მსგავსად 116 და 80 ნომრიანი სასტუმროებისა მოეწყობა რკინა-ბეტონის კარკასით და ბრტყელი გადახურვით.

3.3 განსახორციელებელი ტბების სპეციფიკაციები

როგორც უკვე აღინიშნა კურორტის ტერიტორიაზე დაგეგმილია 3 სხვადასხვა ზომის ხელოვნური ტბის მოწყობა. მათი მიახლოებითი სპეციფიკაციები შემდეგია:

#1 ტბა - ზედაპირის ფართობი - 1 070მ2; სიღრმე - 1 მ.

#2 ტბა - ზედაპირის ფართობი - 2 306მ2; სიღრმე - 3მ.

#3 ტბა - ზედაპირის ფართობი - 180მ2; სიღრმე - 0,4მ.

სურ. #1 - დაგეგმილი, განსახორციელებელი პროექტები

სურ. #2 - ხელოვნური ტბების განთავსების ადგილმდებარეობა

4. პროექტის განთავსების ადგილმდებარეობა

მთლიანად კურორტის და მისი ინფრასტრუქტურის განაშენიანების ტერიტორია მოიცავს შემდეგ საკადასტრო კოდებს:

#	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)	ნაკვეთის ტიპი
1.	81.02.01.880	469	სასოფლო-სამეურნეო
2.	81.02.01.881	85	სასოფლო-სამეურნეო
3.	81.02.21.559	7 200	სასოფლო-სამეურნეო
4.	81.02.21.033	1 899	სასოფლო-სამეურნეო
5.	81.02.21.036	3 440	სასოფლო-სამეურნეო
6.	81.02.21.037	4 283	სასოფლო-სამეურნეო
7.	81.02.21.038	809	სასოფლო-სამეურნეო
8.	81.02.21.544	58 124	სასოფლო-სამეურნეო
9.	81.02.21.546	929	სასოფლო-სამეურნეო
10.	81.02.97.831	3 800	სასოფლო-სამეურნეო
11.	81.02.01.636	7 101	სასოფლო-სამეურნეო
12.	81.02.21.042	1 830	სასოფლო-სამეურნეო
13.	81.02.21.582	39	სასოფლო-სამეურნეო
14.	81.02.21.572	18	სასოფლო-სამეურნეო
15.	81.02.21.566	81	სასოფლო-სამეურნეო
16.	81.02.21.248	9 315	სასოფლო-სამეურნეო
17.	81.02.21.251	5 514	სასოფლო-სამეურნეო
18.	81.02.99.610	6 201	სასოფლო-სამეურნეო
19.	81.02.98.527	6 500	სასოფლო-სამეურნეო
20.	81.02.21.468	2 108	სასოფლო-სამეურნეო
21.	81.02.21.467	3 693	სასოფლო-სამეურნეო
22.	81.02.21.555	190 124	არასასოფლო-სამეურნეო
23.	81.02.01.927	30	არასასოფლო-სამეურნეო
24.	81.02.21.560	326	არასასოფლო-სამეურნეო
25.	81.02.21.574	7	არასასოფლო-სამეურნეო
26.	81.02.21.567	169	არასასოფლო-სამეურნეო
27.	81.02.21.568	36	არასასოფლო-სამეურნეო
28.	81.02.21.570	7	არასასოფლო-სამეურნეო
			სულ ფართობი: 314 137



სურ. #3 - კურორტის განაშენიანების სიტუაციური სქემა

ახალი განაშენიანების, კერძოდ კი სასტუმროების, ხელოვნური ტბებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა მოხდება შემდეგი საკადასტრო კოდების ფარგლებში:

- სასტუმრო დაახლოებით 116 ნომრით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით მოეწყობა შემდეგი საკადასტრო კოდების ფარგლებში: 81.02.01.880; 81.02.01.881; 81.02.21.033; 81.02.21.036; 81.02.21.567;
- სასტუმრო 80 ნომრით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით მოეწყობა 81.02.21.251; 81.02.21.467; 81.02.21.038; 81.02.98.527; 81.02.21.468; 81.02.21.544 და 81.02.21.555 საკადასტრო კოდების ფარგლებში;
- სასტუმრო 30 ნომრით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით მოეწყობა 81.02.21.544 და 81.02.21.555 საკადასტრო კოდის ფარგლებში;
- თერმული აბანო განთავსდება 81.02.21.546 და 81.02.21.555 საკადასტრო კოდის ფარგლებში;
- ფერმა სათბური განთავსდება 81.02.21.559 საკადასტრო კოდის ფარგლებში;
- ღია საცურაო აუზი განთავსდება 81.02.21.037 და 81.02.21.555 საკადასტრო კოდის ფარგლებში;
- კინოთეატრი და ჩოგბურთის კორტები განთავსდება 81.02.21.555 საკადასტრო კოდის ფარგლებში;

მშენებლობის ნებართვის აღების ეტაპზე, მოცემული საკადასტრო ერთეულები შესაძლებელია შეიცვალოს გრგ პროექტით გათვალისწინებული ახალი გამიჯვნებით.



სურ. #4 - კურორტის განაშენიანების სიტუაციური სქემა

(ფართობები და მოცულობები დაზუსტდება პროექტირების პროცესში)

5. წყალმომარაგება

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ობიექტების სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგება ხორციელდება კურორტის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილების მეშვეობით. კომპანიას მიწისქვეშა წყლის მოპოვებისთვის გააჩნია შესაბამისი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები, გაცემული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ (ლიცენზია #1002474/22.04.2015; ლიცენზია #1002373/12.03.2015; ლიცენზია #1003805/29.07.2016; ლიცენზია #1003806/29.07.2016). გარდა ამისა, სასმელი წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (gwp).

6. ჩამდინარე წყლების ჩაშვება

კომპანია თავად უზრუნველყოფს კურორტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდას. ამისათვის კომპანიას მოწყობილი აქვს ,,ბიოტალის" ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა. გაწმენდილი წყლები ჩაედინება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (gwp)-ს საკანალიზაციო სისტემაში.

7. მისასვლელი გზები

პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას. კურორტის ტერიტორიაზე მისასვლელი გზების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. კომპანიის მიერ კურორტის ტერიტორიაზე დამუშავებულია საგზაო მოძრაობის სქემა, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დროს მძიმე ტექნიკისთვის მისადგომ გზას.

8. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის გავრცელებას და დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი ექნება მხოლოდ სასტუმროების მშენებლობის ეტაპზე საძირკვლების გაყვანის პროცესში მომუშავე მძიმე ტექნიკისა და ასევე ხელოვნური ტბების დაღრმავების პროცესში მძიმე ტექნიკის მუშაობის დროს. მშენებლობის ხანგრძლივობა დაყოფილია ორ ეტაპზად. პირველი ეტაპი გაგრძელდება 36 თვე, ხოლო მეორე ეტაპი - 72 თვე.

მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

9. ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

კურორტის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნება მხოლოდ და მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც კომპანიის საკუთრებაში არსებული ელექტრომობილების საშუალებით გაიტანება ტერიტორიიდან გადა გადეცემა ქ. თბილისის მერიის, მუნიციპალურ სამსახურს, მათთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

რაც შეეხება ახალი ობიექტების მშენებლობის პროცესში წარმოქმნილ ნარჩენებს, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ასევე არ იქნება მნიშვნელოვანი და მათი მართვა (შენახვა და განთავსების ან აღდგენის მიზნით ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი იქნება მშენებელი კომპანია, რომელიც ასევე ვალდებული იქნება ,,საქართველოს ნაჩენების მართვის კოდექსის" მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მისი შეთანხმება.

აღნიშნულ საკითხებს მონიტორინგს გაუწევს შპს ,,მედგრუპ ჯორჯია" და კონტრაქტორი მშენებელი კომპანიები.

10. ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე

პროექტი არ ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებას. მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის ხარისხზე და სტაბილურობაზე მოსალოდნელი არ არის.

ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა თავისუფალია ხე-მცენარეებისგან. თუმცა ნიადაგი დაფარულია ბალახოვანი მცენარეებით. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე საჭირო იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება.

იმისათვის, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში თავიდან იქნეს აცილებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანება, საჭიროა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ტერიტორიის იმ ფართობზე, სადაც დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

სასტუმროების და ტბები სამშენებლო ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგი, დასაწყობდება ცალკე კონსერვაციის მიზნით.

ნიადაგის მოხსნა, დასაწყობება, და კონსერვაცია განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის **№**415 დადგენილებით დამტკიცებული ,,ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის" და ,,ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის" ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობებისა და ასევე ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპზე.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა მოხდება დაახლოებით 10 169 $მ^2$ ფართობზე, აღნიშნული საკითხი დაზუსტდება სამშენებლო ნებართვის აღების ეტაპზე (ტერიტორია მოიცავს როგორც სასტუმროების, ასევე ხელოვნური ტბების საპროექტო ტერიტორიებს). ნაყოფიერი ფენის საშუალო სიმძლავრის (15 სმ) გათვალისწინებით, მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მოცულობა დაახლოებით იქნება:

$$10\ 169 \times 0.15 = 1\ 525\ მ^3$$

მოხსნილი ნიადაგი დასაწყობდება სამშენებლო ტერიტორიაზე ცალკე გამოყოფილ ფართობზე, რომელიც დაცული იქნება გარე ფაქტორების ზემოქმედებისგან. ნიადაგის განსათავსებლად შერჩეული უბანი ზედაპირული წყლის ობიექტიდან დაშორებული იქნება;

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსება მოხდება შესაბამისი წესების დაცვით: ნაყარის სიმაღლე არ აღემატება 2 მ-ს; ნაყარის ფერდებს მიეცემა შესაბამისი დახრის (45^0) კუთხე; დაცული იქნება სამუშაო

მოედნების საზღვრები მოსაზღვრე უბნების შესაძლო დაბინძურების, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანების და ნიადაგის ეროზიის თავიდან აცილების მიზნით;

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დარჩება ობიექტის ტერიტორიაზე და მისი გამოყენება მოხდება სასტუმროების მწვანე სახურავების მოსაწყობად.

11. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

კურორტი გაშენებულია ტყით დაფარულ ტერიტორიაზე. ვინაიდან კურორტის მტავარ იდეას ჯანსაღი ცხოვრების სტილის მხარდაჭერა და ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოადგენს, პროექტის განხორციელებისთვის არეალის შერჩევა მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით მოხდა, ტყეში ჩაფლული დაბალი ინტენსივობის შენობებით დაგეგმარდა მთელი ტერიტორია.

2012 წელს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოსთან" გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიის მიერ განხორციელდა მოვლითი ღონისძიებების სახით სანიტარული ჭრა და ასევე განხორციელდა 60 ჰა ე.წ ,,უძოს ტყის" მოვლა. მოეწყო საფეხმავლო და საცხენოსნო გზები, მოსასვენებელი ფანჩატურები, ხიდები. 3 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ხორციელდებოდა უზარმაზარის ტყის მასივების დამუშავება ,,თერმული ნისლით" მავნებლებისაგან დაცვის მიზნით.

2010 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის საფუძველზე თბილისის საზღვრებში არსებული ტყის მასივები, ტყის ფონდიდან გადაეცა თბილისის მუნიციპალიტეტს, სწორედ მისი ნაწილია ბიოლის ტერიტორიაზე არსებული ტყის მასივი, რომელიც დაახლოებით 14 ჰა -ს (140 000მ^2) შეადგენს. ასევე 2013-2018 წლებში კომპანიის მიერ დაირგო 110 000-მდე მწვანე ნარგავი, დაეგო 112 000მ^2 მდელო, გაყვანილ იქნა სარწყავი სისტემები, ტერიტორიაზე არსებულ ყველა შენობაზემოეწყობილია მწვანე სახურავები. ასევე, ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ივენთ ჰოლი, რომელიც ულამაზეს ზამთრის ბაღს წარმოადგენს.

კომპანიას შტატში ყავს ბოტანიკოსი და აქტიურად თანამშრომლობს დენდროლოგებთან. შესაბამისად, თითოეული ხე განსაკუთრებული მოვლა-პატრონობის ქვეშ არის. ბიოლის ტერიტორიაზე, ბოტანიკურ და ლანდსაპტის სამუშაოებს ემსახურება სპეციალისტთა და პრაქტიკოსთა 25 კაციანი ჯგუფი.

ყოველ წელს, ბიოლის ტერიტორიაზე, გრაფიკულად ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებები, ეკოლოგიის, მცენარეთა დაცვის და ტერირტორიის ენდემური ფლორის შენარჩუნების სკითხებში.

მეცნიერულად განიხილება ჩასატარებელი სამუშაოების ტანმიმდევრობა და შესრულება, ხდება ველური ფლორის ინტროდუქცია ტერიტორიაზე და ყოველ სავეგეტაციო სეზონზე რეინტროდუქცია ბუნებრივ არეალში, რაც ხელს უწყობს ენდემური ფლორის შენარჩუნებას და პოპულაციების გაძლიერებას მიმდებარე ტერიტორიებზე.

ბიოლის ტერიტორიაზე, არსებული შერეული ტყის მასივში, ასევე მთის ფერდობებზე გაშლილი ველების ზოლში, რომელიც წარმოადგენს არიდული ზონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობს, სადაც ენდემურ მცენარეულ საფარს წარმოადგენს ფიჭვი, მუხა, კუნელი, რცხილა, იფანი, ძახველი, ასკილი, კვრინჩხი, შინდანწლა, შინდი და ბალახოვანთა მრავალი სახეობა. ჩატარდა შემდეგი პროფილაქტიკური ღონისძიებები: სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ - წიწვოვნებზე აღმოჩენილი ,,შუტე", რომელიც ხმობამდე აზიანებს მცენარეს, გამოყენებული იქნა სპილენძის ზეჟანგის შემცველი პრეპარატები, ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი სასუქები შავი ბრილიანტის და ტორფის წვენის სახით. ასევე ჩატარდა მავნებლების საწინააღმდეგოდ პროფილაქტიკური ღონისძიებები, სადაც ძირითად ფორმებს წარმოადგენდა ქერქის მწამელების 2 სახეობა, კალიები, მატლები, ტკიპები, ფეხსახსრიანთა რიგის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც საკმაოდ დიდ ზიანს აყენებდნენ მუხას და ფიჭვს. გამოყენებული იქნა კონტაქტური მოქმედების ინსექტიციდები. მიღებულ იქნა საკმაოდ ეფექტური შედეგები მავნებლებთან და სოკოვან დაავადებებთან ბრძოლის შემდეგ, რომელიც შესამჩნევად ჩანს ბიოლის ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კურორტის პოლიტიკის და კონცეფციის ძირითად და მთავარ ნაწილს წარმოადგენს კურორტის და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ბიოლოგიური საფარის შენარჩუნება, მოვლა და განვითარება. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი არ არის.



სურ. #5 - გრგ ბრძანება # 2898920 ბრძანებით შეტანხმებული ტერიტორიის გამწვანების გეგმა*

(*საპროექტ არეალი გაზრდილია, შესაბამისი გამწვანების გეგმა ჩაიდება განახლებულ გრგ პროექტში)

12. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ობიექტის გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

13. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

პროექტის განხორციელება თავისი ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. კურორტის დაარსებიდან დღემდე, დასაქმებულია 1000 ადამიანი. გარდა ამისა, ძველი თბილისის გამგეობასთან გაფორმებულია მემორანდუმი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებით.

14. სამშენებლო სამუშაოების დაწყება და დასრულება

სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2020 წლის 1 მარტიდან. სამუშაოები განხორციელდება 2 ეტაპად. პირველი ეტაპი გასტანს 36, ხოლო მეორე ეტაპი 72 თვეს.

15. დანართი 1 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18050346, 07/05/2018 15:21:00

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს შედგრუპ ჯორჯია
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	205206873
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	24/05/2007
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ოდიშელიძის ქ., N1ბ

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@mg.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საშეთვალყურეო საბჭო

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01009007858, თეა გადრანი

პარტნიორები

მესაკუთრე	**წილი**	**წილის მმართველი**
71 1592227, 01491005250, თამაზ მჭედლიძე, რუსეთი, საქართველო	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და ნოტარიუსებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლში ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომლებთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge